პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№68 (5098)

1974 წ. 6 აპრილი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## რეკორდი

ალმა-ატა, 5 აპრილი. — ...დღის მაღალმთიან ... ზე ყაზახეთის ... საბჭოს პრიზისთვის შეჯიბრებაში გორკელმა მოციგურავე ვ. კომაროვამ ყველას აჯობა სპრინტერულ მრავალჭიდში. მისი შედეგი — 174,515 ქულა — სსრ კავშირის რეკორდი და მეორე მაჩვენებელია ციგურაობის ისტორიაში ამერიკელი შ. იანგის მსოფლიო მიღწევის (173,450) შემდეგ.

ციგურები

HELSINKI 5.-20.4.1974

# 424 ჟურნალისტი...

ჰელსინკი, 3 აპრილი. დღეს ფინეთის დედაქალაქში მატარებლით ჩამოვიდა სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრები, რომელიც მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. გუნდს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტისა და ფინეთის ჰოკეის ფედერაციის წარმომადგენლები დახვდნენ.

სადგურიდან საბჭოთა ჰოკეისტები პირდაპირ ქალაქგარეთ მდებარე სასტუმრო „პოლარში“ გაემართნენ.

დღეს აქ ჩამოვიდნენ პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ეროვნული გუნდებიც. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები გუშინ ჩამოვიდა.

ჩემპიონატს 22 ქვეყნის 424 ჟურნალისტი გააშუქებს.

• •

## პირველობის კალენდარი

ჰოკეიში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატმა გუშინ აიღო სტარტი. პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის გუნდები. მერე ყინულზე გამოვიდნენ სსრ კავშირისა და გდრ-ის კოლექტივები.

ჩემპიონატის შემდგომი განრიგი ასეთია: 6 აპრილი. პოლონეთი — შვეცია, გდრ — ფინეთი. 7. შვეცია — ჩეხოსლოვაკია, ფინეთი—სსრ კავშირი. 8. ჩეხოსლოვაკია—გდრ, სსრ კავშირი—პოლონეთი. 9. გდრ—შვეცია, პოლონეთი—ფინეთი. 10. ჩეხოსლოვაკია—სსრ კავშირი, ფინეთი—შვეცია, 11. პოლონეთი—გდრ. 12. შვეცია—სსრ კავშირი, ფინეთი—ჩეხოსლოვაკია.

მეორე წრე. 13 აპრილი. პოლონეთი—ჩეხოსლოვაკია, გდრ—სსრ კავშირი. 14. შვეცია—პოლონეთი, ფინეთი—გდრ. 15. ჩეხოსლოვაკია—შვეცია, სსრ კავშირი—ფინეთი. 16. გდრ—ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი—სსრ კავშირი. 17. შვეცია—გდრ, ფინეთი—პოლონეთი. 18. სსრ კავშირი—ჩეხოსლოვაკია, შვეცია—ფინეთი. 19. გდრ—პოლონეთი. 20. სსრ კავშირი—შვეცია, ჩეხოსლოვაკია—ფინეთი.



ჩვენ მეკარეები ვართ! — ამ სიტყვების თქმის უფლება თანაბრად აქვთ სსრ კავშირის ნაკრები გუნდის კარის მცველებსაც, უძლიერესი საკლუბო კოლექტივების მეკარეებსაც და სულ ახალბედებსაც, რომლებიც დროთა განმავლობაში ნამდვილი გოლკიპერები გახდებიან.

ბედმა გაუღიმა ლენინგრადის 288-ე საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლეს ალექსეი მოროზოვს, რომელიც საქალაქო ტურნირში „ბედნიერი სტარტი“ თავისი გუნდის კარს იცავდა. ხუმრობა ხომ არ არის, მის თამაშს თვალს ადევნებდნენ სახელგანთქმული ოსტატები, ქვეყნის ნაკრების მეკარეები ვიქტორ ტრეტიაკი და ალექსეი სიდელნიკოვი, რომლებიც ახლა საბჭოთა ჰოკეის ღირსებას იცავენ ჰელსინკში, სადაც გუშინ დაიწყო ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატი ამ მიმზიდველ სახეობაში.

სახელოვანმა სპორტსმენებმა მოროზოვი ტურნირის საუკეთესო მეკარედ აღიარეს, მერე კი თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს და კარის დაცვის საიდუმლოებანი გაანდეს. ამისთანა შემთხვევა ყველას კი არ მიეცემა...

• • •

სურათზე: ა. მოროზოვი, ვ. ტრეტიაკი (მარცხნივ) და ა. სიდელნიკოვი.

ვ. გალაკტიონოვის ფოტო.

# პატარა ჩოგნების დიდი ჩემპიონატი

ჩვენი კონტინენტის პატარა ჩოგნის საუკეთესო ოსტატებმა იუგოსლავიის ქალაქ ნოვი-სადში მოიყარეს თავი, სადაც დღეს ევროპის წლევანდელი ჩემპიონატი იწყება. ვაჟთა გუნდურ შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი 27 სახელმწიფოს სპორტსმენებმა გამოთქვეს, ხოლო ქალთა შორის თამაშისა — 23 ქვეყნის ჩოგბურთელებმა.

ევროპის პირველობაში აგერ უკვე მეხუთედ იასპარეზებს მოსკოველი ზ. რუდნოვა, რომელმაც 1970 და 1972 წლებში ოქროს მედლები მოიხვეჭა. თავის ამხანაგთან ნაკრები გუნდიდან თანაქალაქელ ს. გომოზკოვთან ერთად მან თავისებური რეკორდი დაამყარა: ზედიზედ სამჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის წოდება შერეულ წყვილთა თანრიგში. ქალთა შეჯიბრებაში ჩაებმებიან, აგრეთვე, ერევნელი ე. ანტონიანი, კაუნასელი ა. გედრაიტიტე, სვერდლოვსკელი ტ. ფერდმანი და მოსკოველი ს. ფიოდოროვა (იგი მეექვსედ გამოვა ევროპის ჩემპიონატის სტარტზე).

ზემოდასახელებული გომოზკოვის გარდა, საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში შედიან ბათუმელი ს. სარხოიანი, ლვოველი ა. სტროკატოვი, ერევნელები ბ. ბურნაზიანი და ფ. პილოსიანი.

სსრ კავშირის ქალთა ნაკრები იმ ქვეჯგუფშია, სადაც გფრ-ის, ინგლისის, იუგოსლავიის, ბულგარეთისა და საფრანგეთის გუნდები არიან. მეორე ექვსეული შეადგინეს უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, შვეციის, პოლონეთისა და საბერძნეთის წარმომადგენლებმა.

საბჭოთა ჩოგბურთელი ვაჟები ნახევარფინალში გასასვლელად იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, ინგლისის, დანიისა და ჰოლანდიის გუნდებთან ერთად იბრძოლებენ. მეორე ექვსეულში შევიდნენ შვეციის, უნგრეთის, გფრ-ის, ავსტრიის, საფრანგეთისა და რუმინეთის ნაკრები კოლექტივები.

ნახევარფინალურ საგზურებს როგორც ვაჟთა, ისე ქალთა თითოეული ქვეჯგუფის ორი საუკეთესო გუნდი მიიღებს. გუნდური შეჯიბრება 6-9 აპრილს ჩატარდება, ხოლო პირადი — 11-13 აპრილს.

• •

# „ვეცდები გავახარო ჩემი გულშემატკივრები“

...ერევნის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტრომანქანათსაშენებელი ქარხნის ვეება სპორტულ დარბაზში ნემსი არ ჩავარდებოდა. მიმდინარეობდა მაგიდის ჩოგბურთის ოსტატთა XXIV საკავშირო ჩემპიონატის ფინალი. ერთმანეთს ხვდებოდნენ ძველი მეტოქეები: ქვეყნის 1972 წლის ჩემპიონი, ბათუმელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ს. სარხოიანი და შარშანდელი გამარჯვებული, მოსკოველი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ს. გომოზკოვი.

პირველ პარტიაში უპირატესობა ამ უკანასკნელის მხარეს იყო. მან ზედიზედ 8 ქულა მოიგო და გაიმარჯვა კიდეც — 21:14. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მოსკოველის წარმატებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მეტოქის უზუსტო, ნაჩქარევმა თამაშმა. მომდევნო პარტიებში მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონი გახდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი, რომლის ჩახვეულმა დარტყმებმა და ბურთის ელვისებურმა გადატანამ მაგიდის ერთი კუთხიდან მეორეში ქანცი გაუწყვიტა მოწინააღმდეგეს. საბოლოოდ ბათუმელმა იოლად დაამარცხა გომოზკოვი (3:1) და ერთწლიანი შუალედის შემდეგ კვლავ მოიხვეჭა უძლიერესის სახელი.

სარხოიანის მიღწევები საკავშირო თუ საერთაშორისო ასპარეზზე გულშემატკივრებისთვის კარგადაა ცნობილი. სტუდენტთა შორის მსოფლიოს აბსოლუტური და საბჭოთა ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონი, ევროპის ლიგის შარშანდელ პირველობაში გამარჯვებული სპორტსმენი წლეულს წარმატებით გამოვიდა რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციისა და გფრ-ის დიდ საერთაშორისო ტურნირებში, საიდანაც 10 მედალი ჩამოიტანა.

...დასავლეთ გერმანიაში საასპარეზოდ თავი მოიყარა მაგიდის ჩოგბურთის თითქმის ყველა უძლიერესმა ოსტატმა ჩინელებისა და მათი ლიდერის, მსოფლიო ჩემპიონ სი ენ-ტინის გარდა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ნახევარფინალში წააგო მომავალ ჩემპიონთან, შვედ ჰ. იუჰანსონთან და საბოლოოდ III ადგილს დასჯერდა. წყვილთა შეჯიბრებაში სარხოიანი თავის განუყრელ პარტნიორთან — გომოზკოვთან ერთად ასპარეზობდა. ერთ-ერთ შეხვედრაში ბათუმელმა ოსტატმა ხელი იტკინა, მაგრამ, ექიმების წინააღმდეგობის მიუხედავად, თამაში განაგრძო და II საპრიზო ადგილზე გავიდა.

ამ მოკრძალებულ, სიმპათიურ ახალგაზრდას თამაშის ძალიან ლამაზი, ელეგანტური მანერა აქვს. მსოფლიოს შარშანდელ პირველობაში, სადაც სარხოიანმა V-VIII ადგილები გაიყო, ჩვენი ჩოგბურთის ოსტატობით მოხიბლულმა ბევრმა უცხოელმა სპეციალისტმა იგი ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა. წლის ბოლოს სამყაროს უძლიერეს ჩოგბურთელთა საკლასიფიკაციო სიაში სარხოიანი მეშვიდე იყო.

მომავალი ინჟინერ-ენერგეტიკოსი 26 წლისაა, სწავლობს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბათუმის ფილიალში. თავისუფალ დროს უყვარს თანამედროვე მუსიკის მოსმენა, ჩანაწერების დიდი მოტრფიალეა და თითქმის ყოველი მგზავრობის შემდეგ ახალ გრამფირფიტებს მატებს თავის ისედაც მდიდარ კოლექციას.

სარხოიანს ვთხოვეთ რამდენიმე სიტყვა ეთქვა ევროპის მომავალ ჩემპიონატზე და თავის გეგმებზე ამ შეჯიბრებაში.

— ვეცდები გავახარო ჩემი გულშემატკივრები, — გვიპასუხა მან, — ვიბრძოლებ საპრიზო ადგილისთვის. თუმცა ეს ძალიან ძნელი იქნება ისეთ კომპანიაში, სადაც ფავორიტებად ითვლებიან იუჰანსონი და მისი თანამემამულე, მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ბენგსტონი. უნდა ითქვას, რომ წარმატების არანაკლები შანსი აქვთ მსოფლიოს მესამე და მეოთხე ჩოგნებს — შურბეკსა და სტიპანჩიჩს, რომელთაც საკუთარი კედლებიც დაეხმარებიან.

გუნდურ პირველობაში საბჭოთა ნაკრების ძირითადი მეტოქეები იქნებიან მსოფლიოს ჩემპიონი — შვეციის გუნდი, აგრეთვე, უნგრელები და იუგოსლაველები.

ზ. ახალაძე.

● ლენინგრადი, 3 აპრილი. ადგილობრივი „სპარტაკის“ კალათბურთელ ქალთა გუნდმა ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველ ფინალურ მატჩში დღეს აქ ანგარიშით 68:58 (33:32) სძლია იტალიის „ჯეასს“ (სესტო-სან-ჯოვანი). ამ გუნდების საპასუხო შეხვედრა 10 აპრილს გაიმართება იტალიაში.

● ციურიხი, 3 აპრილი. ავსტრიის ჩოგბურთელთა ნაკრებმა ანგარიშით 3:2 დაამარცხა შვეიცარიის ეროვნული გუნდი და დევისის თასის გათამაშების შემდეგ წრეში გავიდა, სადაც ახალი ზელანდიის წარმომადგენლებს შეხვდება.

## ახალი ამბები

# ფრენბურთის ბადესთან

### მეორე და მესამე დღეების შედეგები

ერევანში გრძელდება ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტური. შეჯიბრების მეორე დღეს გამართული მატჩები ასე დამთავრდა: „დინამო“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (მოსკოვი) 0:3, „ავტომობილისტი“ (ლენინგრადი) — უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი (მოსკოვი) 2:3, „დოროჟნიკი“ (ალმა-ათა) — „ავტომობილისტი“ (დნეპროპეტროვსკი) 2:3, „ლოკომოტივი“ (კიევი) — ასკ (დონის როსტოვი) 0:3, ტექნოლოგიის ინსტიტუტი (ოდესა) — ცსკა 0:3, „რადიოტექნიკი“ (რიგა) — „ზვეზდა“ (ვოროშილოვგრადი) 3:0.

მესამე დღის შეხვედრების შედეგები ასეთია: „ლოკომოტივი“ — უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი 3:0, ტექნოლოგიის ინსტიტუტი — „ავტომობილისტი“ (დნეპროპეტროვსკი) 3:0, „დინამო“ (ლენინგრადი) — ასკ 0:3, „რადიოტექნიკი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 3:1, „დოროჟნიკი“ — „ზვეზდა“ 3:0, ცსკა — „ავტომობილისტი“ (ლენინგრადი) 3:2.

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

### სპორტული მუზეუმის სიმდიდრე

ტარტუს სპორტის მუზეუმს ერთდროულად ორი ახალი ექსპონატი შეემატა: 1896 წლის ათენის I ოლიმპიური თამაშების მონაწილის მედალი და მიუნხენის XX ოლიმპიადის ოქროს ჯილდო. პირველი მუზეუმს საჩუქრად გადასცა ტარტუელმა კოლექციონერმა ანტს მონარდმა, მეორე — ოლიმპიურმა ჩემპიონმა მოფარიკავეთა გუნდურ შეჯიბრებაში სვეტლანა ჩირკოვამ.

...ტარტუს სპორტის მუზეუმი ჯერ ათი წლისაც არ არის, მაგრამ მისი კოლექცია 6 ათასზე მეტ ექსპონატს მოიცავს. ეს ექსპონატები ჩვენს თვალწინ შლიან ესტონეთში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გზას. მუზეუმში ინახება ას წელზე მეტი ხნის ხის ციგურები (კეილი), პირველი ესტონური თხილამურები, ესტონურ ენაზე დაბეჭდილი პირველი ტანვარჯიშის სახელმძღვანელო, რომელიც ტარტუში გამოიცა 95 წლის წინათ....

მთელი განყოფილება ეძღვნება მსოფლიოს სამგზის და ევროპის ოთხგზის ჩემპიონის, XX ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებული ძალოსნის იან ტალტსის ოქროს მედლებსა და სამახსოვრო პრიზებს. ტალტსმა თავისი ბრწყინვალე სპორტული კარიერა ტარტუს მახლობლად, ტიხემეტსაში დაიწყო, როცა საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში სწავლობდა.

მუზეუმში დაცულია მსოფლიოს ექს-რეკორდსმენის, ძალოსან კარლ უტსარის, ოლიმპიური ჩემპიონის, ევროპის პირველობებში ოთხგზის გამარჯვებული მოჭიდავის იოჰან კოტკასის, მოჭიდავე იაან როოტსის, მოკრივეების მარტინ ლინამიაგის და ლემბიტ მაურერის ჯილდოები.

— ჩვენი კოლექცია თანდათან მდიდრდება, — გვიამბობს მუზეუმის დირექტორი ენ მაინლა. — ამჟამად ვამზადებთ თემატურ გამოფენას, რომელსაც ესტონელ ძალოსნებს, მოჭიდავეებსა და მოკრივეებს ვუძღვნით.

მ. იუოვი.
(საკუთარი კორ.).

ტარტუ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უნდა ვეძიოთ ახალი ფორმები

## ხალხისთვის ზრუნვა მთავარი ამოცანაა

ჩვენი რესპუბლიკის საწარმოების, დაწესებულებების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების პროფკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საბჭოების მხარდაჭერით წლიდან წლამდე აუმჯობესებენ მშრომელთა და მოსწავლე ახალგაზრდობას შორის მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას. ყოველწლიურად ფართოვდება საწარმო-დაწესებულებების კაპიტალური და მარტივი ტიპის სპორტულ ნაგებობათა ქსელი, იზრდება სპორტინვენტარის რაოდენობა, სექციების, ფიზკულტურელების, თანრიგოსნების, მშდ კომპლექსის ნიშნოსნებისა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული მუშაკების რიცხვი.

ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების რესპუბლიკური და ცენტრალური საბჭოების საქმიანობას სათანადო კონტროლსა და დახმარებას უწევს საქართველოს პროფსაბჭო, მისი ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილება.

ფიზკულტურული კოლექტივების, სპორტსაზოგადოებათა საბჭოების, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების ზრუნვის შედეგია, რომ საქართველოს პროფკავშირულმა სპორტსაზოგადოებებმა გადაჭარბებით შეასრულეს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების შარშანდელი გეგმის ძირითადი მაჩვენებლები. შარშან ფიზკულტურასა და სპორტში გეგმის ზევით 800-ზე მეტი კაცი ჩაება. წლის დამლევისთვის ფიზკულტურელთა რიცხვმა 407927-ს მიაღწია; მშდ კომპლექსის ყველა საფეხურის ნორმატივები 81270-ის მაგიერ 50425 კაცმა ჩააბარა; 62027 ყველა თანრიგის სპორტსმენისა და სპორტის ოსტატობის კანდიდატის მაგიერ 69490 თანრიგოსანი და სპორტის ოსტატობის კანდიდატი მომზადდა; სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა 128 კაცმა, გეგმით კი 83-ს უნდა შეესრულებინა.

უნდა აღინიშნოს ნაკლიც: ვერ შესრულდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატთა მომზადების გეგმა.

შარშან პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების მიერ გაწეულ მუშაობასა და მომავლის ამოცანებზე ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე ი. გოგორიძე.

ვბეჭდავთ ამ ინტერვიუს.

**● შარშან საქართველოს პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა საგრძნობ წარმატებებს მიაღწიეს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში. რა ღონისძიებებმა შეუწყო ხელი მაღალი მაჩვენებლების მოპოვებას?**

— პროფკავშირული ორგანიზაციების ვალია ხელი შეუწყონ მშრომელთა და მოსწავლეთა გაჯანსაღებას, მათი შრომისნაყოფიერების ამაღლებას. ამ მიზანს უნდა ემსახურებოდნენ ფიზკულტურული, ტურისტული და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი. ყოველწლიურად ჩვენს მუშა-მოსამსახურეებს, სტუდენტებს დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების ათასობით საგზური ეძლევათ, მაგრამ ჯანმრთელობის გაკაჟებასა და შრომისნაყოფიერების ამაღლებაში არანაკლებ როლს ასრულებს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, მასობრივი შეჯიბრებები სხვადასხვა სახეობაში, სპარტაკიადები, ტურისტული ლაშქრობები, საწარმოო ტანვარჯიში, ჯანმრთელობის ჯგუფები.

რესპუბლიკის საწარმო-დაწესებულებებში, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მშრომელთა, სტუდენტთა და მოსწავლეთა ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის შარშან მართლაც მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გატარდა. თუნდაც საქართველოს პროფკავშირთა სპარტაკიადა ავიღოთ. ამ კომპლექსურ შეჯიბრებას წინ უძღოდა რამდენიმე საფეხურის ტურნირები.

მაგრამ სპარტაკიადები მასობრივ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის მხოლოდ ერთი ფორმაა. კოლექტივებში ასევე წარმატებით იყენებენ ტურიზმს. ეს სახეობა განსაკუთრებით პოპულარულია „სპარტაკსა“ და „განთიადში“.

დიდ ყურადღებას ვუთმობთ საწარმოო ტანვარჯიშს, ჯანმრთელობის, თევზაობისა და ნადირობის ჯგუფების მუშაობას. ახლა რესპუბლიკაში იშვიათად თუ ნახავთ საწარმოსა და დაწესებულებას, სადაც საწარმოო ტანვარჯიში დანერგილი არ იყოს. თბილისის საკერვო კომბინატ „განთიადის“ თანამშრომელთა შორის ჯანმრთელობის განმტკიცების ყველაზე გავრცელებული ფორმა ტურიზმი და თევზაობაა. მშრომელთა გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს ასევე დიდ ყურადღებას აქცევენ დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის, სართავ-სატრიკოტაჟო და მაუდ-კამვოლის კომბინატების, რუსთავის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნების, გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის ორგანიზაციები.

მშრომელთა გაჯანსაღებისთვის ზრუნვაში დიდად გვეხმარება მშდ კომპლექსიც. შარშან 50 ათასზე მეტმა კაცმა ჩააბარა ამ კომპლექსის ყველა საფეხურის ნორმატივები, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს 50 ათასზე მეტი კაცი სხვადასხვა სახეობაში სტარტზე წლის მანძილზე, სულ ცოტა, ათჯერ გამოვიდა.

ერთი სიტყვით, „განთიადში“ „ბურევესტნიკში“, „სპარტაკში“, „ლოკომოტივში“, „ვოდნიკში“ მშრომელთა შორის მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის საერთო დონე დაბალი არ არის, თუმცა ჯერჯერობით ნაკლოვანებებიც გვაქვს.

**● როგორი იყო სპორტული მუშაობა შარშან, რით გამოიჩინეს თავი საქართველოს პროფკავშირელმა სპორტსმენებმა?**

— სამდურავი არ გვაქვს. ლევან თედიაშვილის, ტარიელ ქლენტის, თემურ მატიანის, ნონა გაფრინდაშვილის, ნანა ალექსანდრიას, ქეთევან ლოსაბერიძის, დიტო შანიძის, ხოდარ მოდებაძის და სხვათა წარმატებებს რომ თავი დავანებოთ, სპორტული მუშაობის სათანადო დონეს სპორტის ოსტატთა მომზადების გეგმის გადაჭარბებით შესრულებაც ადასტურებს. საქართველოს პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 რესპუბლიკურ სკოლასთან ერთად დიდი მუშაობა გასწიეს სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში. მნიშვნელოვნად გაფართოვდა ბაზების ქსელი, საბოლოოდ ჩადგა მწყობრში „განთიადის“ სამდარბაზიანი სპორტული კომპლექსი, კაპიტალურად შეკეთდა „ბურევესტნიკის“ დარბაზი კიროვის პარკში, ბათუმში — „სპარტაკის“ ჩოგბურთის კორტები, სოხუმში — „განთიადის“ საწყლოსნო სადგური, ბაკურიანში — „ბურევესტნიკის“ ბაზა. ქუთაისის ავტოქარხანაში ახალი ბაზები შენდება....

რაც გაკეთდა, ყველაფრის ჩამოთვლა ძნელია, მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რაც მუშაობაში ხელს გვიშლიდა. კერძოდ, საშველი არ დაადგა სპორტკლუბ „სინათლის“ სტადიონის რეკონსტრუქციას. ამ სტადიონზე არც მინდორი ვარგა, არც ტრიბუნები. თანამედროვე მოთხოვნების შესაფერი არ არის ზესტაფონის ფეროშენადნობთა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნების, აგრეთვე, სამტრედიის „ლოკომოტივის“ სტადიონები — არც ერთს მძლეოსნური სექტორები არ უვარგა, გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატისა და ფოთის „ვოდნიკის“ სტადიონებზე კი მძლეოსნური სარბიელი და სათადარიგო მინდვრები საერთოდ არ არსებობს. პირდაპირ სავალალო მდგომარეობაშია თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენი ქარხნის აუზი. ერთ დროს ეს აუზი საქართველოს ნაკრების წევრთა მომზადების კერა იყო, ბოლო წლებში კი მისი რემონტი შეუწყნარებლად გაჭიანურდა, უკვე რამდენიმე თვეა გრძელდება დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონის რემონტი.

**● რა ღონისძიებანი დაისახა შემჩნეული ნაკლოვანებების აღმოფხვრისთვის, როგორია ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების წლევანდელი გეგმები?**

— ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების რესპუბლიკური და ცენტრალური საბჭოების პრეზიდიუმების სხდომებზე ისახება ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსწორებისთვის. საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი პერიოდულად მსჯელობს რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის მდგომარეობის საკითხებზე, ფიზკულტურის კოლექტივების, სპორტსაზოგადოებათა საბჭოების, ცალკეული გუნდების საქმიანობაზე, საწარმოო ტანვარჯიშზე და სხვა გამაჯანსაღებელ ღონისძიებებზე. მაგალითად, საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა იმსჯელა ჟინვალჰესის ფიზკულტურულ კოლექტივში მუშაობის ჩაშლის მიზეზებზე, სპორტულ საზოგადოებებსა და სპორტკლუბებში შრომითი და ფინანსური დისციპლინის განმტკიცებაზე, საზაფხულო სპარტაკიადის შედეგებზე; კოლექტივების სოცშეჯიბრებებზე, სპორტის ტექნიკური სახეობების მდგომარეობაზე... ყველაფერი ეს ხელს უწყობს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმების შესრულებას. გეგმები კი ახლა გაცილებით დიდი გვაქვს. ხუთწლედის მეოთხე — განმსაზღვრელ წელს პროფკავშირელ ფიზკულტურელთა რიცხვმა 415 ათასს უნდა გადააჭარბოს. უნდა მოვამზადოთ 35 ათასზე მეტი მშდ კომპლექსის ნიშნოსანი, 58 ათასზე მეტი თანრიგოსანი, 97 სპორტის ოსტატი, 8 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და 27 ათასზე მეტი საზოგადოებრივი მუშაკი.

ამ საზრუნავს ისიც ემატება, რომ გაისად სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა ტარდება და საქართველოს ნაკრების დაკომპლექტებაში პროფკავშირულმა სპორტულმა ორგანიზაციებმა თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ. ამ ამოცანას ვერ გადავწყვეტთ, თუ ყველა ფიზკულტურის კოლექტივი, ყველა სპორტული საზოგადოება სათანადოდ არ დაირაზმა და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა კიდევ უფრო არ გააუმჯობესა. საქართველოს პროფსაბჭომ გადაწყვიტა წლეულს კანდიდატების შერჩევის მიზნით თავისი მორიგი საზაფხულო სპარტაკიადა ჩაატაროს, მაგრამ მარტო ამით ვერ დავკმაყოფილდებით. გაისად, თებერვალ-მარტში საკავშირო პროფსაბჭოს ზამთრის VIII სპარტაკიადა ტარდება, ამ ასპარეზობაში ჩვენც უნდა გამოვიდეთ, მაშასადამე, მზადებაც აქედანვე უნდა დავიწყოთ.

საქართველოს პროფკავშირულმა სპორტულმა საზოგადოებებმა უკვე კარგა ხანია გააჩაღეს სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადება. დავიწყეთ ბაზების მოწესრიგებით. „განთიადის“ ცენტრალურ საბჭოსთან მთავრდება 25-მეტრიანი აუზის აგება, აქვე მალე დასრულდება დარბაზის რეკონსტრუქცია, რომელიც მთლიანად ტანმოვარჯიშე ვაჟთა განკარგულებაში იქნება. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს სტადიონის მძლეოსნური ბილიკებისა და სექტორების, ორთაჭალაში აუზის რეკონსტრუქციაში დაეხმარება. თბილისში (წერეთლის პროსპექტზე) მალე დავიწყებთ საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლის მანეჟის რეკონსტრუქციას. ეს მანეჟი შესანიშნავი საწვრთნელი ბაზა იქნება არა მარტო სკოლის მოსწავლეებისთვის, არამედ ყველა თბილისელი მძლეოსნისთვის.

ბაზების ქსელის გაფართოებას ისახავდა მიზნად საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებაც ბაზების კეთილმოწყობის ერთთვიურის ჩატარების შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპორტულ ბაზებსა და ნაგებობებს მაღალი ხარისხის ინვენტარი აკლიათ.

**● საქართველოს სპორტულმა დელეგაციებმა პროფკავშირთა ბოლო საკავშირო და სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადებში უკან დაიხიეს. რა იყო ამის მიზეზი და როგორ გესახებათ პოზიციების დაბრუნების გზები?**

— წარუმატებლობათა მიზეზად მიმაჩნია ბოლო წლებში მაღალთანრიგოსანთა მომზადებასა და მასობრივ ფიზკულტურულ მუშაობაში დაშვებული სიყალბე. გაბერილმა ციფრებმა და მიწერებმა თვით ყალბისმქმნელებს აუბნია თავგზა: თვითონვე ირწმუნეს მათ ამ ციფრების სისწორე და „ურემი შინ მოტანილი ეგონათ“. უბრალო მაგალითი: თუ სტატისტიკურ მონაცემებს დავუჯერებთ, რესპუბლიკაში 51 საცურაო აუზი უნდა იყოს, მაგრამ ვის ვატყუებთ? სადღეისოდ საქართველოში ათი აუზიც არ მოიძებნება, სრულწლიურად რომ მუშაობდეს. ხოლო სრულწლიური ვარჯიშის გარეშე სპორტული მწვერვალების დაპყრობაზე ფიქრიც ზედმეტია.

თუ გვსურს სპარტაკიადებში დაკარგული პოზიციები დავიბრუნოთ, პირველ ყოვლისა უნდა ვიზრუნოთ ბაზების ქსელის რაც შეიძლება მეტად გაფართოებისთვის, მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, სპორტსმენთა ოსტატობის შემდგომი სრულყოფისთვის. ამ მიზნის მისაღწევად უნდა გამოვნახოთ ახალი ფორმები და სპორტსმენებს მაღალ დონეზე უფრო ხშირად ასპარეზობის საშუალება მივცეთ.

უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლების შექმნაზე დიდ იმედს ამყარებდნენ. თავისთავად ეს სკოლები იქნებ ძალიან დიდი სარგებლობის მომტანია, მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში ჯერჯერობით იმედს მთლიანად ვერ ამართლებს. საქართველოს თითქმის ყველა უძლიერესი სპორტსმენი ამ სკოლებშია თავმოყრილი, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ახლა უფრო ნაკლებად უხდებათ შეჯიბრებებში მონაწილეობა, ვინაიდან სკოლებს მეტოქეები არ ჰყავთ. სულ სხვა იქნება, ამგვარი სასწავლებლების საკავშირო ტურნირებიც რომ იმართებოდეს. სკოლებს მაღალთანრიგოსანთა მომზადების გეგმები არა აქვთ და ისინიც სპორტსმენთა დაოსტატებისთვის მაინცდამაინც არ ირჯებიან, თუმცა ყველაზე მეტი თანხა აქვთ.

სპორტსაზოგადოებებთან საქართველოს პროფსაბჭოს 13 სხვადასხვა სპეციალური სპორტული სკოლაა შექმნილი და მათში 3960 ახალგაზრდაა გაერთიანებული. ერთი წლის მანძილზე ამ სკოლებში 4 სპორტის ოსტატი, 18 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 78 პირველი და 1337 მასობრივი თანრიგების სპორტსმენი მომზადდა. მასობრივ თანრიგებში მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, მაგრამ სპორტის ოსტატთა მომზადებაში ძალიან ჩამორჩებიან. მით უმეტეს, რომ ამ სკოლებს ჩვენ გეგმებსაც ვაძლევთ.

**● თქვენი აზრით, რა არის საჭირო მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მეტი რაოდენობით მოსამზადებლად?**

— სპორტსმენი შეჯიბრებებში ყალიბდება, იწრთობა და კვალიფიკაციას იმაღლებს. ალბათ ბევრს ახსოვს, თავის დროზე საქართველოს სპორტკომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება შეჯიბრებათა ორ ტურად გამართვის შესახებ. ეს ურიგო ღონისძიება არ იყო. საჭიროა ჩატარდეს ყველა მასშტაბის რაც შეიძლება მეტი ასპარეზობა, თანაც არა მარტო სპორტსაზოგადოებათა გუნდებისთვის. შეჯიბრებები ტერიტორიული პრინციპითაც უფრო ხშირად უნდა ეწყობოდეს.

თბილისის რაიონებს შორის კარგა ხანია სპარტაკიადები არ გამართულა, რაიონული კომიტეტები, სპორტსაზოგადოებათა საბჭოები სარაიონო ღონისძიებების გამართვით ან საერთოდ არ იწუხებენ თავს, ან თითო-ოროლა გუნდის გამოსვლით კმაყოფილდებიან. საჭიროა ფიზკულტურული კოლექტივები სიძლიერის მიხედვით ჯგუფებად დავყოთ და რაიონულ თუ საქალაქო შეჯიბრებებში რაც შეიძლება მეტ გუნდს მივაღებინოთ მონაწილეობა. მართალია, ერთხანს შედეგები დაბალი იქნება, მაგრამ მერე მდგომარეობა გამოსწორდება, კოლექტივებში ბაზების ქსელი გაფართოვდება, შედეგები თანდათან ამაღლდება და, ცხადია, საქართველოს ნაკრებიც საიმედო ცვლას მიიღებს. რა თქმა უნდა, ეს სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადებაში ბევრს აღარაფერს მოგვეხმარება, მაგრამ მერმისისთვის კი გამოგვადგება. ესეც არ იყოს, მოსახლეობის ჯანმრთელობის გაკაჟებისთვის უკეთეს ღონისძიებას ვერც ვინატრებთ.

## ფეხბურთი

### 3:3

ბრატისლავა, 5 აპრილი. ფაშიზმისგან საბჭოთა არმიის მიერ სლოვაკიის დედაქალაქის გათავისუფლების 29-ე წლისთავის დღესასწაულის აღსანიშნავი სპორტული ღონისძიებების ფარგლებში მოასპარეზე კიევის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა ფრედ, ანგარიშით 3:3 დაამთავრა შეხვედრა ჩეხოსლოვაკიის უმაღლესი ლიგის გუნდთან — ადგილობრივ „სლოვანთან“.

მასპინძელთა კარში ბურთები გაიტანეს ბლოხინმა, მუნტიანმა და შეპელმა.

### გულშემატკივართა საყურადღებოდ

დღეს ოდესაში შედგება სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური მატჩი ადგილობრივი „ჩერნომორეცისა“ და თბილისის „დინამოს“ შორის.

საქართველოს რადიომაუწყებლობის კომიტეტი აწყობს ამ მატჩის ტრანსლაციას. დასაწყისი 19 საათზე თბილისის დროით.

## მოზარდთა რესპუბლიკური

გაიმართა ჭაბუკ ფეხბურთელთა რესპუბლიკური პირველობის მორიგი შეხვედრები.

აღმოსავლეთი ზონა. „დინამო“ (თბილისი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 1:1, „განთიადი“ (თბილისი) — „დილა“ (გორი) 1:0, განათლების განყოფილება (თბილისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 3:0, ახალგ. საფეხბ. სკოლა (თელავი) — მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) 0:2, ახალგ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) — მწვრთნელთა სკოლა 3:0, „მეტალურგი“ — ახალგ. საფეხბ. სკოლა (თელავი) 3:0, „ავაზა“ (თბილისი) — განათლ. განყ. 1:2, „დინამო“ (თბილისი) — „განთიადი“ 4:0, განათლ. განყ. (თბილისი) — მწვრთნ. სკოლა 0:0.

დასავლეთი ზონა: „დინამო“ (ბათუმი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 3:1, „კოლხეთი“ (ფოთი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 1:2, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „დინამო“ (სოხუმი) 2:3, განათლ. განყ. (ქუთაისი) — ახალგ. საფეხბ. სკოლა (გაგრა) 3:1, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 6:1, „გურია“ — „დინამო“ (ზუგდიდი) 3:0, „დინამო“ (სოხუმი) — განათლ. განყ. (ქუთაისი) 4:0, „მერცხალი“ — „ლოკომოტივი“ 3:0, „დინამო“ (ბათუმი) — „კოლხეთი“ 6:1. გაგრის გუნდს მოგება ჩაეთვალა ქუთაისის „ტორპედოსთან“.

მონაწილეთა მდგომარეობა სადღეისოდ ასეთია:

### აღმოსავლეთი ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (თბილისი) | 5 | 4 | 1 | 0 | 12—2 | 9 |
| ახალგ. საფეხბ. სკ. (თბილისი) | 5 | 2 | 3 | 0 | 8—2 | 7 |
| განათლ. განყ. (თბილისი) | 5 | 2 | 3 | 0 | 5—1 | 7 |
| მწვრთ. სკოლა (თბილისი) | 5 | 2 | 2 | 1 | 7—4 | 6 |
| „განთიადი“ (თბილისი) | 5 | 2 | 0 | 3 | 5—11 | 4 |
| „ავაზა“ (თბილისი) | 4 | 1 | 1 | 2 | 4—8 | 3 |
| „დილა“ (გორი) | 4 | 0 | 2 | 2 | 3—5 | 2 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 4 | 1 | 0 | 3 | 3—8 | 2 |
| ახალგ. საფეხბ. სკ. (თელავი) | 4 | 0 | 1 | 3 | 0—8 | 1 |

### დასავლეთი ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (სოხუმი) | 5 | 4 | 1 | 0 | 17—5 | 9 |
| გან. განყ. (ქუთაისი) | 6 | 4 | 1 | 1 | 13—7 | 9 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 5 | 4 | 0 | 1 | 18—4 | 8 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 6 | 3 | 2 | 1 | 12—3 | 8 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 6 | 3 | 1 | 2 | 10—14 | 7 |
| ახალგ. საფეხბ. სკ. (გაგრა) | 6 | 3 | 1 | 2 | 7—11 | 7 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 6 | 2 | 1 | 3 | 10—13 | 5 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 6 | 1 | 1 | 4 | 6—12 | 3 |
| „დინამო“ (ზუგდიდი) | 6 | 1 | 1 | 4 | 5—16 | 3 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 6 | 0 | 1 | 5 | 5—18 | 1 |

# სარეკორდო ოლიმპიადა

პარიზი, 5 აპრილი. 3-30 ივნისს საფრანგეთის ქალაქ ნიცაში ჩატარდება მორიგი საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელიც ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს ემთხვევა. შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის განაცხადები უკვე 76 ქვეყნის მოჭადრაკეებმა წარმოადგინეს. მონაწილე სახელმწიფოთა რიცხვით ეს ოლიმპიადა სარეკორდო იქნება.

პარიზში ოლიმპიადასთან დაკავშირებით მოეწყო პრეს-კონფერენცია, რომელსაც ბევრი ფრანგი და უცხოელი ჟურნალისტი დაესწრო. ამ პრეს-კონფერენციაზე ნიცის მერმა, ეროვნული კრების დეპუტატმა ჟ. მედსენმა, საფრანგეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა და სხვა ხელმძღვანელებმა, ნიცის მუნიციპალური საბჭოს წევრებმა ილაპარაკეს ოლიმპიადისთვის მზადებაზე და ტურნირის საორგანიზაციო საკითხებზე.

საფრანგეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა რ. ბერტოლომ დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მომავალ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა დიდოსტატები ბ. სპასკი, ტ. პეტროსიანი, ა. კარპოვი, მ. ტალი, ლ. პოლუგაევსკი, ვ. კორჩნოი. მან ილაპარაკა საფრანგეთისა და სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციებს შორის არსებულ კარგ ურთიერთობაზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა ქვეყანა ყოველმხრივ ხელს უწყობს ნიცის ტურნირის წარმატებას.

საფრანგეთის ტელევიზიას, როგორც რ. ბერტოლომ თქვა, განზრახული აქვს მოაწყოს ჭადრაკისადმი მიძღვნილი გადაცემების სერია. კერძოდ, ფედერაციას იმედი აქვს, რომ ნაჩვენები იქნება საბჭოთა ფილმი „დიდოსტატი".

პრეს-კონფერენციაზე გამოცხადდა, რომ ოლიმპიადის მთავარი არბიტრი იქნება ა. კოტოვი (სსრ კავშირი).

როცა ჰკითხეს, ითამაშებს თუ არა ოლიმპიადაში ფიშერიო, ბერტოლომ მიუგო: „მე დღემდე არაფერი ვიცი მის გეგმებზე. ოლიმპიადაში ფიშერის მონაწილეობის საკითხი ამერიკის შეერთებული შტატების ჭადრაკის ფედერაციაში უნდა გადაწყდეს".

თუ პრეს-კონფერენციის ორგანიზატორთა ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით ვიმსჯელებთ, გამორიცხული არ არის, რომ ფიშერმა ოლიმპიადაში მონაწილეობის საკითხი კვლავ გასამრჯელოს დაუკავშიროს.

* * *

ივნისის მეორე ნახევარში ნიცაში ჩატარდება ფიდე-ს მორიგი კონგრესიც. მთავარ საკითხთა შორისაა ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე მატჩების ჩატარების მტკიცე რეგლამენტის განხილვა, რომელიც სპეციალურმა კომისიამ დაამუშავა (ამაზე ბრესა იტყობინებოდა), აგრეთვე, ცვლილებები ოლიმპიადების მოწყობაში.

საჯელი [illegible]

# თბილისში, ჭადრაკის სასახლეში

### ხამი საგზურისთვის

დინამოელ მოჭადრაკე ვაჟთა რესპუბლიკურ პირველობაში, რომელშიც 13 ვაჟთან ერთად ერთი ქალიც (ც. კობაიძე) მონაწილეობს, უკვე 11 ტურია გათამაშებული. ლიდერთა ჯგუფში არიან გ. სემიონოვი — 7,5 ქულა, გ. გამრეკელი (ორივე — თბილისი) — 7, ოსტატი ა. ტუზოვსკი (სოხუმი) — 6,5, ვ. პაპიაშვილი, მ. ძნელაძე (ორივე — თბილისი) და ლ. ნეერონოვი (ბათუმი) — 6-6.

ტურნირის მიტელშპილში წაიფორხილა შეჯიბრების ერთპიროვნულმა ლიდერმა გამრეკელმა. მას სემიონოვმა მოუგო და ნახევარი ქულით გაუსწრო. მერე გამრეკელმა სძლია ძნელაძეს და რ. კარტაშიანს (თბილისი), მაგრამ ვეღარ დაეწია სემიონოვს, რომელმაც ასევე ორი შეხვედრა მოიგო.

დისტანციის მეორე ნახევარი წარმატებით განვლო ციური კობაიძემ. მან დაამარცხა კარტაშიანი და ი. გოგეშვილი, ხოლო ვ. მარტიროსიანსა (სოხუმი) და პაპიაშვილს დაუზავდა.

პირველობაში ორი ტური დარჩა სათამაშო. I-III ადგილებზე გასული მოჭადრაკეები და პერსონალურად მიწვეული ტუზოვსკი მაისში ლიეპაიაში (ლატვია) „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობის ნახევარფინალში ითამაშებენ.

### პირველობის ფინიშთან

მიიწურა თბილისის ქალთა ტრადიციული ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობენ შემდეგი მოჭადრაკეები: ოსტატობის კანდიდატი ქ. გაჩეჩილაძე, პირველთანრიგოსნები ლ. წეროძე, ნ. იოსელიანი, მ. ლოლიშვილი, ხ. გურგენიძე, გ. ქუპრაშვილი, მ. კალანდაძე, ლ. მენგელია, ლ. ბელოზიოროვა, მ. გაგლოევა, ე. ბაშინჯაიძე, ლ. თანდაშვილი, მ. ვაჩეიშვილი და ნ. მანველოვა.

დასკვნითი, XIII ტურის წინ, რომელიც 7 აპრილს გაიმართება, ბაშინჯაიძეს 10,5 ქულა აქვს, იოსელიანს — 8,5 ქულა და 1 გადადებული პარტია. ლიდერებს ბევრად ჩამორჩებიან ვაჩეიშვილი (6,5), ბელოზიოროვა (6), გაჩეჩილაძე (6 ქულა და 2 გადადებული პარტია) და მანველოვა (6 ქულა და 1 გადადებული პარტია), რომელთაც პირველ ექვსეულში მოხვედრის რეალური შანსი აქვთ. საქმე ისაა, რომ I-VI ადგილებზე გასული მოჭადრაკეები საქართველოს ქალთა პირველობის ფინალში მონაწილეობის უფლებას მიიღებენ.

### ჭაბუკ მოჭადრაკეთა ტურნირი

მეორე კვირაა გრძელდება ჭაბუკთა რესპუბლიკური ჩემპიონატი ახუჯრიან ზამში. შეჯიბრებაში თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, ფოთისა და კასპის 14 წარმომადგენელი მონაწილეობს.

თავიდანვე მძაფრი ბრძოლა გაჩაღეს მ. ცანავამ, ა. ყანჩაველმა, (ორივე — ფოთი), ს. მალოვიკმა (სოხუმი) და რ. ფატიანმა (თბილისი). II ტურიდან — მალოვიკთან ყაიმის შემდეგ ცანავამ ზედიზედ ექვსი შეხვედრა მოიგო და ყველას გაუსწრო. მალოვიკი ყაიმებს სჯერდებოდა, ფატიანმა კი ლიდერებთან ორ შეხვედრაში მხოლოდ ნახევარი ქულა მიიღო.

დასკვნითი, XII და XIII ტურების წინ ცანავას 10 ქულა აქვს, მალოვიკს — 9, ფატიანს, ყანჩაველს — 8-8, თ. ნაჭყებიას (ფოთი) — 7.

თ. ნინოშვილი.



ეს ტანმოვარჯიშე ქალიშვილი ალბათ უმალვე იცანით: ო. კორბუტი გახლავთ. მან კარგა ხანია საქვეყნოდ გაითქვა სახელი, სპორტული ტანვარჯიში უნიკალური ილეთებითა და ნაერთებით გაამდიდრა. უმაღლესი ოსტატობა, საოცარი გამბედაობა და უდიდესი სირთულე, — აი, რა ახასიათებს ამ სპორტსმენის გამოსვლებს.

ო. კორბუტი კვლავ შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია. იგი ახლახან დაწინაურდა ლენინგრადში, შეიარაღებული ძალების საკავშირო პირველობაში, სადაც სავალდებულო პროგრამის შემდეგ 38,25 ქულა მოაგროვა.

ნ. სააკოვისა და მ. დათიკაშვილის ფოტო

# ფიშერის მოთხოვნა არ მიიღეს

წინათ პრეტენდენტს მსოფლიო ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად აუცილებლად გამარჯვება სჭირდებოდა. ამიტომ იმდროინდელ მატჩებში თამაში მოგებული პარტიების გარკვეულ, წინასწარ დადგენილ რაოდენობამდე გრძელდებოდა. უკანასკნელი ორთაბრძოლა ამ წესით 1927 წელს გაიმართა ხ. კაპაბლანკასა და ა. ალიოხინს შორის. სანამ ალიოხინი დათქმულ ექვს პარტიას მოიგებდა, მეტოქეებმა 34 პარტია ითამაშეს, რასაც სამი თვე დასჭირდა.

1952 წლიდან, მ. ბოტვინიკის წინადადებით, მატჩში მსოფლიო პირველობაზე მხოლოდ 24 პარტიას თამაშობდნენ. მსოფლიო ჩემპიონს დიდი უპირატესობაც ეძლეოდა: მას ბრძოლის ყაიმით (12:12) დამთავრება ტიტულს უნარჩუნებდა, წაგების შემთხვევაში კი ერთი წლის შემდეგ მატჩ-რევანშის თამაშის უფლებაც ჰქონდა. ეს სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა მოჭადრაკეებში, განსაკუთრებით კი პრეტენდენტთა შორის. ფიდე-მ სცადა ამ წესის გაუმჯობესება, ჯერ მატჩ-რევანში გააუქმა, მერე კი პრეტენდენტთა ტურნირის მაგიერ მატჩების სერია შემოიღო. მაგრამ ჩემპიონს მაინც რჩებოდა უპირატესობა.

მსოფლიო პირველობის გათამაშების არსებული წესის წინააღმდეგ 60-იან წლებში რ. ფიშერმა გაილაშქრა, მან, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა მოჭადრაკემ, გათამაშებაში მონაწილეობაზე უარი თქვა, რითაც საჭადრაკო სამყარო ძალიან ააღელვა. ფიშერმა ფიდე-ს წარუდგინა თავისი წინადადებანი, რომლებითაც ფაქტიურად ძველი წესების დაბრუნებას მოითხოვდა.

1969 წელს ფიდე-მ მოიწონა ამერიკელი დიდოსტატის წინადადება. გადაწყდა, რომ მსოფლიო პირველობაზე მატჩი ექვს მოგებულ პარტიამდე გაგრძელდებოდა, ყაიმს მხედველობაში არ მიიღებდნენ, ოღონდ 30-ზე მეტი პარტია არ გათამაშდებოდა. 1969-1972 წლების მსოფლიო პირველობა (სპასკი — ფიშერის მატჩიც) სწორედ ამ წესით ჩატარდა.

ფიდე-ს 1971 წლის კონგრესმა პარტიების რაოდენობის შეზღუდვა გააუქმა: თამაში მანამ გაგრძელდება, სანამ ერთ-ერთი მეტოქე დათქმულ ექვს პარტიას არ მოიგებს. პირველობის გათამაშების ამჟამინდელი, 1972-1975 წლების ციკლი ამ წესით ტარდება.

ახლა ფიშერი, როგორც მსოფლიო ჩემპიონი, ფიქრობს მომავალ პრეტენდენტს მეტი დაბრკოლება შეუქმნას, გაუძნელოს ტიტულის მოპოვება. მას, რა თქმა უნდა, ამ საკითხში აშშ-ს ჭადრაკის ფედერაციაც უჭერს მხარს.

როგორია ფიშერის ახალი წინადადებები? იგი მოითხოვს, რომ მსოფლიო პირველობაზე მატჩში თამაში ათ მოგებულ პარტიამდე გაგრძელდეს, ხოლო თუ ანგარიში 9:9 იქნა, ბრძოლა შეწყდეს და მსოფლიო ჩემპიონს ტიტული დარჩეს.

ამას წინათ ამსტერდამში ფიდე-ს საგანგებო ბიურომ განიხილა ფიშერის ეს მოთხოვნა და მსოფლიო პირველობის მატჩთან დაკავშირებული სხვა საკითხები. ბიურომ უარყო მსოფლიო ჩემპიონის მოთხოვნა. კენჭისყრის დროს მას მხოლოდ აშშ-ს წარმომადგენლებმა დაუჭირეს მხარი.

ბიურომ ყველაფერი იღონა, რომ მომავალი მატჩი სამართლიანი იყოს და არც ერთ მხარეს უპირატესობა არ მიენიჭოს. მაგალითად, ფიშერმა ტოკიოში იაპონელებს, რომლებიც შეიძლება მატჩის ორგანიზატორები გახდნენ, გასამრჯელოდ 2 მილიონი დოლარი მოსთხოვა. აქედანო, განაცხადა მან, მილიონი გამარჯვებულს მიეცემა, ხოლო 200 ათასი დამარცხებულსო. ბიურომ გადაწყვიტა, რომ მთელი საჰონორარო ფონდის ხუთ მერვედს გამარჯვებული მიიღებს, დანარჩენ სამ მერვედს — დამარცხებული.

რათა 1972 წლის მატჩის ამბები ისევ არ გამეორდეს, ბიურომ მკაცრი ზომები გაითვალისწინა. მსოფლიო ჩემპიონს, პირველ პარტიაზე სათამაშოდ თუ არ გამოცხადდება, მატჩი წაგებულად ჩაეთვლება. მის მეტოქესთან ოთხი თვის შემდეგ მატჩს ითამაშებს პრეტენდენტთა ფინალური შეხვედრის მეორე მონაწილე.

მატჩის მთავარ არბიტრს სამი თანაშემწე ეყოლება, ოღონდ ნეიტრალური ქვეყნებიდან. შეიქმნება, აგრეთვე, სპეციალური ჟიური სადავო საკითხების გასარჩევად. ამ ჟიურიში 7 კაცი იქნება: მთავარი არბიტრი, მოთამაშეთა ქვეყნების თითო წარმომადგენელი, მატჩის ორგანიზატორი ქვეყნის წარმომადგენელი და სამი წევრი ნეიტრალური ქვეყნებიდან.

ბიურომ მატჩის რეგლამენტიც შეიმუშავა. მაგალითად, პირველ 30 პარტიაში მეტოქეებს ავადმყოფობის მიზეზით სამი პარტიის გაცდენის უფლება ეძლევათ, ყოველ ათ მომდევნო პარტიაში — თითოს გამოტოვებისა. გამოიყოფა სათადარიგო ოთახიც. მსაჯს შეუძლია საჭიროების შემთხვევაში თამაშის დროსაც, ოღონდ არა ცაიტნოტში, პარტია იქ გადაიტანოს.

ბიურომ გადაწყვიტა მატჩი მსოფლიო პირველობაზე 1975 წლის 1 ივნისს დაიწყოს. 2 იანვრამდე ფიდე მიიღებს მატჩის გამართვის მსურველთა განაცხადებს, ხოლო 17 თებერვალს დაასახელებს ორთაბრძოლის მასპინძელ ქალაქს.

მანამდე თავის უახლოეს კონგრესზე (საფრანგეთი, ივნისი) ფიდე-მ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს ბიუროს გადაწყვეტილებები. მიმომხილველები ფიქრობენ, რომ ამერიკის ჭადრაკის მესვეურები ამაოდ შეეცდებიან კონგრესმენებს ფიშერის წინადადებები მიაღებინონ.

თ. ზიორბაძე.

# მორიგი ტირაჟების შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი ტირაჟებისა, რომლებიც 30 მარტს მოსკოვში მოეწყო.

„სპორტლოტო": ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ის, ვინც ხუთი ნომერი სწორად გადახაზა, მიიღებს 2068 მანეთს (245 ბილეთი), ოთხი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 39 მანეთია (13187 ბილეთი), სამისთვის — 3 მანეთი (220002).

„სპორტლოტო-2": ექვსი ნომრის გამომცნობი არც აქ აღმოჩნდა ვინმე. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 1358 მანეთია (109 ბილეთი), ოთხისთვის — 34 (4320), სამისთვის — 3 მანეთი (62068).

მოგებული თანხა გაიცემა ცენტრალურ შემნახველ სალაროებში 11 აპრილიდან 10 მაისის ჩათვლით.

შემდეგი ტირაჟი 10 აპრილს მოეწყობა მოსკოვში.

● ●

### „ფრიადოსანთა" იერიში

„სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი ტირაჟები განსაკუთრებით იღბლიანი გამოდგა საქართველოს სპორტული ლატარიის მოყვარულებისთვის: ჩვენი რესპუბლიკის 19 მცხოვრებმა ზუსტად გამოიცნო ხუთი ნომერი და სახეობა.

ძმები ა. და ტ. კიკაბიძეები სპორტული ლატარიის მუდმივი მონაწილეები არიან. წლევანდელ მე-7 ტირაჟში მათ „სპორტლოტო-2"-ის 18 ბილეთი იყიდეს. ერთ-ერთი ბილეთით, რომელიც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის სტუდენტმა ავთანდილმა შეავსო, ძმებმა „სპორტლოტოს" ხუთი სახეობა გამოიცნეს. მოგებამ 4953 მანეთი შეადგინა.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ე. როსტიაშვილმა მე-8 ტირაჟში „სპორტლოტო-2"-ის ბილეთზე ხუთი ნომერი გამოიცნო და 2763 მანეთი მოიგო.

ბოლო ტირაჟში თბილისის ქარხანა „მიკროძრავის" თანამშრომელ ე. ვართანოვის ოჯახმა „სპორტლოტოს" ათი და „სპორტლოტო-2"-ის ხუთი ბილეთი შეიძინა. ბილეთები შეავსო მთელმა ოჯახმა: ქმარმა, ცოლმა და მათმა ორმა შვილმა. ერთ-ერთ ბილეთზე მათ ზუსტად გამოიცნეს 5 სახეობა და 2068 მანეთი მოიგეს.

ნ. ლონდაძე,
„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი.

# რიგასა და კისლოვოდსკში

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციამ დაამტკიცა ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩების ადგილი და დრო.

ნ. ალექსანდრია (თბილისი) — მ. შულის (ლვოვი) მატჩი გაიმართება 10 მაისიდან რიგაში, ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) — ი. ლევიტინას (ლენინგრადი) ბრძოლა — 25 მაისიდან კისლოვოდსკში.

ამ შეხვედრებში გამარჯვებული მოჭადრაკეები ფინალურ მატჩს სექტემბერში ითამაშებენ.

ნახევარფინალურ მატჩებში ათათი პარტია შედგება. ის, ვინც ვადამდე 5,5 ქულას დააგროვებს, გამარჯვებულად გამოცხადდება. ყაიმის (5:5) შემთხვევაში ფიხალისტს კენჭისყრა დაასახელებს.

ფინალურ მატჩში 12 პარტია გათამაშდება. გამარჯვებისთვის საჭირო იქნება 6,5 ქულა. ყაიმის (6:6) შემთხვევაში გამარჯვებული, რომელიც მსოფლიო ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილს უნდა შეხვდეს 1975 წლის მატჩში, აქაც კენჭისყრით გამოვლინდება.

ამჟამად ნ. ალექსანდრია, მისი მწვრთნელი — საერთაშორისო დიდოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ბ. გურგენიძე ლიკანში ემზადებიან დიდი პაექრობისთვის.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

# ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ

იუგოსლავიის კალათბურთელ ვაჟთა წლევანდელი ჩემპიონატი განსაკუთრებით დაძაბული და საინტერესოა. ფავორიტები, რომლებიც სტარტის წინ „ამა ქვეყნის ძლიერებად“ მიაჩნდათ, სინამდვილეში უდღეური მეფეები აღმოჩნდნენ. ამ ჯგუფს ეკუთვნიან შარშანდელი ჩემპიონები — „რადნიჩკის“ კალათბურთელები, პირველობებში მრავალგზის გამარჯვებული „ცრვენა ზვეზდა“ და სპლიტის კლუბი „იუგოპლასტიკა“, რომელიც შესამჩნევად გაძლიერდა გუნდში ცენტრის მოთამაშე ერკოვის ჩარიცხვით.

ყველა ფავორიტს აჯობა ხელახლა აღორძინებულმა „ზადარმა“, იმ გუნდმა, სადაც თავისი კარიერა დაიწყო შემდეგში საქვეყნოდ სახელგანთქმულმა ჩოსიჩმა, დღეს უკვე კლუბის „მოთამაშე დირექტორმა“. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჩემპიონი ცნობილია, ვინაიდან „ზადარმა“ 6 ქულით გაუსწრო სხვებს. ახლა მას ჩასატარებელი აქვს შეხვედრები თავის მოედანზე, სადაც პირველობის დაწყებიდან არც ერთხელ არ წაუგია. თუ ამას დავუმატებთ ჩოსიჩის სტაბილურ თამაშსაც („მოთამაშე დირექტორი“ ყოველ მატჩში 25-35 ქულას აგროვებს და კარგ პირობებს უქმნის თავის პარტნიორებს), მაშინ „ზადარის“ გამარჯვებაში ეჭვი არ უნდა შევეპაროს.

იუგოსლავიის წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერს ქვეყნის ნაკრებში, სხვა გუნდებისგან განსხვავებით, მხოლოდ ერთი დელეგატი — ჩოსიჩი ჰყავს გაგზავნილი. მაგრამ, თუ „ზადარი“ გამოირჩევა თამაშის რკინისებური დისციპლინით, „რადნიჩკიზე“ და „ცრვენა ზვეზდაზე“ ამას ვერ ვიტყვით. „ცრვენა ზვეზდაში“, მაგალითად, ვერა და ვერ გამონახეს საერთო ენა ქვეყნის ნაკრების კანდიდატებმა სიმონოვიჩმა და სლავიჩმა, ეს კი ძალიან მოქმედებს თამაშის დონეზე.

ეროვნული ჩემპიონატის დამთავრებისთანავე საუკეთესო კალათბურთელები თავს მოიყრიან კუნძულ ხვარზე, სადაც მათს განკარგულებაში იქნება შესანიშნავი სპორტული კომპლექსი „ამფორა“. ნაკრების მწვრთნელმა მირკო ნოვოსელმა უკვე დაასახელა კანდიდატები: ცენტრის მოთამაშეები ჩოსიჩი (სიმაღლე 210 სმ), ელოვაცი (207), ერკოვი (205), კნეჟევიჩი (210), გოსპოდნეტიჩი (207), მაროვიჩი (207), ჟივკოვიჩი (207) და ჟიჟიჩი (210); თავდამსხმელები შოლმანი (200), დალიპაგიჩი (195), დამიანოვიჩი (202), კაპიჩიჩი (148), სიმონოვიჩი (196) და დელიბაშიჩი (190); მცველები ტვრდიჩი (178), პლეჩაში (186), სლავნიჩი (180), კიჩანოვიჩი (191), ტოდორიჩი (196), ივკოვიჩი (190) და სხვ.

კუნძულ ხვარზე ნაკრების კანდიდატები აპრილის დამლევამდე დარჩებიან, მერე კი ითამაშებენ ბელგრადის (1-3 მაისი) და ლიუბლიანის (4-6 მაისი) ტურნირებში.

მაისის შუა რიცხვებში იუგოსლავიის ნაკრები ბრაზილიაში გაემგზავრება მატჩების ჩასატარებლად. ეს გუნდის წევრთა ერთგვარი შემოწმება იქნება.

მსოფლიო პირველობისთვის მზადების ბოლო ეტაპი დაიწყება კრანსკე-გორეში, სადაც ჩატარდება წვრთნა მაღალმთიანეთის პირობებში. ამ ნაცად ხერხს ბევრჯერ გაუწევია დახმარება იუგოსლაველი კალათბურთელებისთვის საპასუხისმგებლო ასპარეზობათა წინ. მთებში კანდიდატები 27 მაისიდან 7 ივნისამდე დარჩებიან. გუნდის მომზადების დონეს გამოავლენს შეხვედრები აშშ-ს სტუდენტურ ნაკრებთან და იტალიის ეროვნულ გუნდთან (10-15 ივნისი).

პუერტო-რიკოს მსოფლიო ჩემპიონატის წინ იუგოსლავიის ნაკრებს დაგეგმილი აქვს ექვსი მატჩი აშშ-ს საუკეთესო გუნდებთან.

ყველაფერი იმას მოწმობს, რომ ჩემპიონები არ აპირებენ ლიუბლიანაში მოპოვებული ტიტულის დათმობას.

ა. პოლეხინი.
(საკდესის კორ.),

ბელგრადი.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

# ᲞᲠᲘᲖᲘ „ᲪᲠᲕᲔᲜᲐ ᲖᲕᲔᲖᲓᲐᲡ“ ᲮᲕᲓᲐ

კალათბურთში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის წლევანდელი გათამაშება (ვაჟთა ტურნირი) დაძაბული გამოდგა. დაძაბული იყო იგი იმიტომ, რომ საპატიო ჯილდოს მთავარ პრეტენდენტთა ძალები უაღრესად თანაბარი აღმოჩნდა. ამიტომაც ამ ტურნირს არ ჰყავდა არც აშკარად გამოკვეთილი ფავორიტები და არც აუტსაიდერები.

მაგალითისთვის საკმარისია ითქვას, რომ ბელგრადის „ცრვენა ზვეზდამ“ რის ვაი-ვაგლახით მოიგო მეოთხედფინალური ტურნირი და მოიპოვა შემდგომი ბრძოლის უფლება. იუგოსლაველებს კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ იტალიელები („საკლა“, ტურინი), რომლებიც მხოლოდ ნახევარფინალში მარცხის შემდეგ გამოეთიშნენ ტურნირს.

ანალოგიური მდგომარეობა იყო მეორე მეოთხედფინალურ ჯგუფშიც. ჩეხოსლოვაკიის თასის მფლობელმა — ბრნოს „სპარტაკ-ზბროიოვკამ“ თითო შეხვედრა წააგო რუმინეთის „სტიაუასთან“ და ესპანეთის „ესტუდიანტესთან“. მას მხოლოდ ბურთების უკეთესმა ბალანსმა გაუხსნა გზა ნახევარფინალისკენ.

ნახევარფინალში ჩეხოსლოვაკიელებმა პირველი შეხვედრა „საკლასთან“ 16 ქულით წააგეს. შინ ბრნოს კალათბურთელებმა უკეთ ითამაშეს, 17 ქულის სხვაობით გაიმარჯვეს და ფინალში აღმოჩნდნენ. როგორც ხედავთ, პირველი ფინალისტის საკითხი მხოლოდ ერთმა ქულამ გადაწყვიტა.

იუგოსლაველები ნახევარფინალში უფრო დამაჯერებლად თამაშობდნენ: ისინი წინ იყვნენ სტუმრადაც (79:74), და, რა თქმა უნდა, შინაც — 104:85.

ფინალური მატჩი გაიმართა ნეიტრალურ მოედანზე, იტალიის ქალაქ უდინეში. მაყურებლები ხმამაღალი შეძახილებით ამხნევებდნენ მეზობლებს — იუგოსლაველ კალათბურთელებს, რომლებმაც ტაიმი 9 ქულის უპირატესობით მოიგეს — 45:36. შესვენების შემდეგ ბრძოლა უფრო დაძაბული იყო, მაგრამ „ცრვენა ზვეზდამ“ ბოლოს მაინც გაიმარჯვა — 86:75.

გამარჯვებულ გუნდში თავი გამოიჩინეს იუგოსლავიის ეროვნული ნაკრების მოთამაშეებმა: კაპიჩიჩმა (თავის კოლექტივს 23 ქულა შესძინა), სლავიჩმა (20) და სიმონოვიჩმა (19). „სპარტაკ-ზბროიოვკაშიც“ ყველაზე შედეგიანი იყო ეროვნული ნაკრების წევრი ბობროვსკი, რომელმაც 20 ქულა დააგროვა.

# ᲗᲐᲡᲔᲑᲘ, ᲗᲐᲡᲔᲑᲘ...

## ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

3 აპრილს გაიმართა ინგლისის თასის გათამაშების განმეორებითი ნახევარფინალური მატჩი „ლივერპულსა“ და „ლეისტერ სიტის“ შორის (მათი პირველი შეხვედრა, როგორც იცით, ფრედ დამთავრდა — 0:0). ამჯერად ლივერპულელებმა გაიმარჯვეს — 3:1. ფინალურ მატჩში, რომელიც ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე გაიმართება, „ლივერპული“ „ნიუკასლ იუნაიტედს“ შეხვდება.

საინტერესოა, რომ „ლივერპულს“ ამ სეზონში „დუბლის“ გაკეთების დიდი შანსი აქვს, რადგან ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტიცაა.

## ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ

ამ ბოლო ხანს მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა საკლუბო გუნდმა — ამსტერდამის „აიაქსმა“ თავისი ქვეყნის ჩემპიონატში წაიფორხილა, ხოლო თასის გათამაშებაში საერთოდ მოეცარა ხელი. როგორც ვწერდით, ამას წინათ მან ჩემპიონატის მატჩი წააგო „ეინდჰოვენთან“ (1:3), მერე ფრედ (2:2) დაამთავრა შეხვედრა „გოუ ექედთან“ და ერთპიროვნული ლიდერობა დაკარგა (იგი ახლა III ადგილზეა). უარესი მოხდა ჰოლანდიის თასის გათამაშების ნახევარფინალურ მატჩში: „აიაქსი“ ამჯერადაც დამარცხდა და კვლავ „ეინდჰოვენთან“, ოღონდ ანგარიშით 1:2.

(საქ. ინფ.).



ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲗᲐᲡᲔᲑᲘ

# ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ — ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ 3:1

უნგრეთის ქალაქ ზალაეგერსეგში გაიმართა მასპინძელი ქვეყნისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა. ეს ბულგარელ ფეხბურთელთა საწვრთნელი მატჩი იყო მსოფლიო ჩემპიონატის წინ.

მეტოქეები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობებით: ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ — მესაროში, კოლარი (კანტორი), ბალინტი, მეგეში, იუხასი, ვიდაჩი, ფეკეტე, ფაზეკაში, ბენე, პოციკი, მატე; ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ — გორანოვი, ზაფიროვი, ივკოვი, ალაჯოვი (ველიჩკოვი), ბანჩევი (ბორისოვი), პენევი, ვოინოვი, ბონევი, ხრისტოვი (გრიგოროვი), სტოიანოვი, დენევი. უნგრელებმა პირველად გამოიყვანეს ნაკრებში ფეკეტე და პოციკი, ბულგარელებს კი აკლდათ დაშავებულნი — ჟეჩევი, კოლევი, მიხაილოვი და მილანოვი.

უკვე მე-3 წუთზე ფეკეტემ მარჯვენა ფრთიდან ბურთი გადააწოდა ფაზეკაშს, რომელმაც გახსნა ანგარიში, ტაიმის ბოლოს კი ბენეს გადაცემით ისევ ფაზეკაშმა დააგვირგვინა კომბინაცია — 2:0. ბულგარელ მცველებს ბევრი შეცდომა მოუვიდათ და 58-ე წუთზე სრულიად უწყინარ სიტუაციაში ალაჯოვმა ბურთი ბენეს ჩააბარა. მანაც ისარგებლა ამ „საჩუქრით“ და მესამე ბურთი გაიტანა.

მატჩის დასასრულს ბულგარელებმა თავი დააღწიეს „მშრალი“ ანგარიშით წაგებას: ბონევმა 11-მეტრიანი დარტყმით გაქვითა ერთი გოლი.

შეხვედრა მოიგეს უნგრელებმა — 3:1.

ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

## ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲝᲑᲐ

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ.** საფრანგეთის მძლეოსნობის ფედერაციამ ამ ქვეყანაში „სპორტის დედოფლის“ აღორძინების მიზნით გადაწყვიტა განაახლოს ტრადიციული კროსები გაზაფხულზე და შემოდგომაზე. პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა: პარიზის „ფონსოს“ სტადიონზე გაიმართა მასობრივი კროსი „ეკიპის“ პრიზზე. მონაწილენი ოთხ ასაკობრივ ჯგუფად დაიყვნენ. ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო ჭაბუკთა ჯგუფი — სტარტზე 300 სპორტსმენი გამოვიდა. ვარაუდობენ, რომ საშემოდგომო კროსში გაცილებით მეტი მოზარდი იასპარეზებს.

**ᲘᲠᲕᲘᲜᲘ.** კალიფორნიის შტატის ამ ქალაქში გამართული შეჯიბრებით დაიწყო აშშ-ს მძლეოსანთა საზაფხულო სეზონი. სიგრძეზე ხტომაში წარმატებას მიაღწია 24 წლის ჯ. პროკტორმა — 827 სმ. ეს სეზონის სტარტისთვის შესანიშნავი შედეგია. ჭოკით ხტომა მოიგო კ. კერიგანმა — 536 სმ. 220 იარდზე რბენაში ყველას აჯობა დ. ქვორმა (იამაიკა) — 20,4 წამი.

## ᲢᲐᲜᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ

**ᲢᲣᲜᲘᲡᲘ.** აქ გაიმართა ტუნისის და ბულგარეთის ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 266,60:255,85.

## ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ

**ᲚᲘᲛᲐ.** პერუს მთავრობამ მიიღო კანონი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების შესახებ. შეიქმნა ფიზკულტურის ეროვნული ინსტიტუტი. კანონი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ფიზკულტურასა და სპორტში მოზარდი თაობის მიზიდვის საკითხს.

## ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲨᲝᲠᲡ

კრასნოიარსკის დიდ ტრამპლინზე (საპროექტო სიმძლავრე — 100 მ), რომელიც წლეულს ჩადგა მწყობრში, კრასნოიარსკის მხარის „მფრინავ მოთხილამურეთა“ დღის პირველობაში ლენინგრადელი მ. აბრამოვი 136 მეტრზე გადახტა. სსრ კავშირში ასეთი შედეგი ჯერ არავის მოუპოვებია. ეს 6 მეტრით სჯობს ტრამპლინის რეკორდს, რომელიც 28 მარტს რუსეთის ფედერაციის ჩემპიონატში კიროველმა ა. სლობოდინმა დაამყარა.

რედაქტორი მ. ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ.

## ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ

**ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ.** საქართველოს პირველობა. 6 აპრილი. „ისნის“ სტადიონი. ასკ (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური). დასაწყისი 12 ს. 7 აპრილი. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი). 17 ს. ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა. 7 აპრილი. „ისნის“ სტადიონი, „განთიადი“ (თბილისი) — ახალგ. საფეხბ. სკოლა (თბილისი). 12 ს. მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონი. განათლების განყოფილება (თბილისი) — „დილა“ (გორი). 16 ს. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი. მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი). 15 ს.

**ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲮᲣᲗᲘᲔᲠᲘ.** საქართველოს თასის გათამაშება. 6 აპრილი. სროლა („დინამოს“ ტირი). დასაწყისი 10 ს. ცურვა. (საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის აუზი). 20 ს. 7 აპრილი. მძლეოსნური კროსი (გამარჯვების პარკი). 11 ს.

**ᲙᲐᲠᲢᲘᲜᲒᲘ.** 7 აპრილი. თბილისის ზღვის მიდამოები (ხუდადოვის ქუჩის დასასრული). თბილისის თასის გათამაშება. მონაწილეობენ საქართველოს, ბაქოს, ერევნის, დონის როსტოვის, ნალჩიკის, გროზნოსა და კრასნოდარის მრბოლელები. დასაწყისი 12 ს.

**ᲪᲣᲠᲕᲐ და ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ.** საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტნაგებობათა კომბინატის აუზი. ირანისა და საქართველოს გუნდების საერთაშორისო შეჯიბრება. დასაწყისი: 7 აპრილს — 16 ს.; 8 და 9 აპრილს — 18 ს.

# ᲗᲐᲕᲓᲐᲛᲡᲮᲛᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ

ლონდონის „არსენალის“ პოპულარული თავდამსხმელი პიტერ მარინელო დიდად პოპულარულია ახალგაზრდა ქალებში. რეკლამის მიზნით ინგლისის ერთ-ერთმა ჯინსების ფირმამაც მიაქცია ყურადღება მარინელოს. სურათზე აღბეჭდილია მომენტი, როცა მანეკენი გეილ ალენი ცნობილ ფეხბურთელს ზომებს უღებს ჯინსის რეკლამისთვის.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02538